

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 115

(29.05.2009 წ.)

5. “სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციაში” ცვლილებების და დამატებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა, რომ “სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ” ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ინსტრუქციის II.8 პუნქტის ბოლო ორი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სტუ-ს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურიდან (მაგისტრატურა) გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი შეიძლება ჩაირიცხოს სწავლების იმავე საფეხურზე ფაკულტეტის შესაბამისი სამსახურების დასკვნის და სწავლების დეპარტამენტის თანხმობის საფუძველზე

სტუ-ს აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურიდან (დოქტორანტურა) გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი შეიძლება ჩაირიცხოს სწავლების იმავე საფეხურზე ინდივიდუალური განხილვის წესით, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე

ინსტრუქციას დაემატოს პუნქტი II. 8" და II. 13" შემდეგი რედაქციით:

პუნქტი II. 8"

სტუდენტთა გადაყვანის წესით და გარიცხული/ამორიცხული სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვისას მათი მიღწევების შეფასება (თუ ის არ შეესაბამება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში აღწერილ ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო ECTS სისტემას) მოხდეს შემდეგნაირად:

**დადებითი შეფასებები:**

- (A) ფრიალი (91-100 ქულა) – შეესაბამება 5 -ს ან 81-100 ქულას.
- (B) ძალიან კარგი (81-90 ქულა) – შეესაბამება 4+ -ს ან 71-80 ქულას.
- (C) კარგი (71-80 ქულა) – შეესაბამება 4 -ს ან 61-70 ქულას.
- (D) დამაკმაყოფილებელი (61-70 ქულა) – შეესაბამება 3+ -ს ან 51-60 ქულას.
- (E) საკმარისი (51-60 ქულა) – შეესაბამება 3 -ს ან 41-50 ქულას.

ჩათვლა შეესაბამება მიღებული დადებითი შეფასებების საშუალო არითმეტიკულს.

**უარყოფითი შეფასებები:**

- (FX) ვერ ჩააბარა (41-50 ქულა) – შეესაბამება 2 -ს ან 31-40 ქულას.
- (F) ჩაიჭრა (0-40 ქულა) – შეესაბამება 0 -ს ან 0-30 ქულას.

საათებში მოცემული სასწავლო კურსის დატვირთვა განისაზღვროს შემდეგნაირად:

- 0 – 50 სთ – შეესაბამება 3 კრედიტს;
- 51 – 80 სთ – შეესაბამება 4 კრედიტს;
- 81 – 120 სთ – შეესაბამება 5 კრედიტს.

უფრო მაღალი დატვირთვა გამოითვლება შესაბამისი საათებისა და კრედიტების შეკრებით.

**პუნქტი II. 13"**

- სტუ-ში უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადასვლა დაშვებულია სწავლების მეორე წლიდან მხოლოდ საგაზაფხულო სემესტრის ანუ სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, შესაბამისი ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში
- სტუ-ში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსვლა და სტუ-ს ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადასვლა დაშვებულია სასწავლო პროგრამების თავსებადობის შემთხვევაში
- სტუ-ში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსვლა და სტუ-ს ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადასვლა დაშვებულია ინდივიდუალური განხილვის

წესით, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

(ა.ფრანგიშვილი)

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

(გ.სალუქვაძე)